ელეონორა არჩაია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიში

2025–2026 წლები

საკრებულოში საქმიანობა და მოქალაქეებთან ურთიერთობა

მოგეხსენებათ, აქტიურად ვარ ჩართული ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში. რეგულარულად ვესწრები საკრებულოსა და კომისიების სხდომებს, მონაწილეობას ვიღებ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში და მთელი წლის განმავლობაში გაცდენების მინიმალური მაჩვენებელი მაქვს.

ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაცია. ყოველდღიურად ვხვდები ქუთაისელებს, ვისმენ მათ პრობლემებს, ადგილზე ვეცნობი ქალაქის სხვადასხვა უბანში არსებულ მდგომარეობას და შესაძლებლობის ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში.

საკრებულოში ჩემი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სხდომებზე დასწრებით. მუდმივად ვსაუბრობ ქალაქის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, საჯაროდ ვაყენებ პრობლემურ საკითხებს, შესაბამის უწყებებს მოვუწოდებ რეაგირებისკენ და კონკრეტული წინადადებებითა და ინიციატივებით ვცდილობ ხელი შევუწყო ქალაქის განვითარებას.

ამასთან, პერიოდულად ვმონაწილეობ საქველმოქმედო და სოციალურ ღონისძიებებში, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ბავშვებსა და სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს.

ჩემი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ინიციატივებია:

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება

მუნიციპალური ბიუჯეტის განხილვისას ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დავაყენე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძირეული რეფორმა. მოვითხოვე ახალი, მაღალი ტევადობის ავტობუსების შეძენა, მოძველებული სამარშრუტო ტაქსების ეტაპობრივი ჩანაცვლება, ახალი მარშრუტების დამატება და ავტობუსის გაჩერებების მოწესრიგება.

შედეგი: მუნიციპალიტეტმა ავტოპარკის განახლებისთვის დამატებით 10 მილიონი ლარი გამოყო და ახალი ავტობუსებისა და მიკროავტობუსების შეძენა დაიგეგმა. ამასთან, განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებები: ამოქმედდა მობილური აპლიკაცია, ავტობუსების გადაადგილების რეალურ დროში მონიტორინგი, გაჩერებების ხმოვანი და ვიზუალური გამოცხადების სისტემები და განახლდა მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემა. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, სატრანსპორტო ქსელის გაფართოება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება კვლავ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება.

2. შშმ ქალებისთვის ადაპტირებული გინეკოლოგიური მომსახურება

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას მივმართე ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის შეძენილიყო ადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძელი, რაც მათ ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობას გააუმჯობესებდა.

შედეგი: ინიციატივა ჯანდაცვის კომისიამ ერთხმად მოიწონა, გადაწყდა მისი ბიუჯეტში გათვალისწინება და ქუთაისის №4 პოლიკლინიკაში განთავსება. მოგვიანებით სავარძლის შესაძენად შესაბამისი ტენდერიც გამოცხადდა.

3. საგზაო უსაფრთხოება და საპარკინგე ინფრასტრუქტურა

საჯაროდ და საკრებულოში არაერთხელ დავაყენე ქალაქში საპარკინგე სივრცეების დეფიციტისა და ქვეითთა უსაფრთხოების პრობლემა. მოვითხოვე ახალი ავტოსადგომების მოწყობა, გამოუყენებელი ტერიტორიების ათვისება, მრავალდონიანი პარკინგების შესაძლებლობის განხილვა, საგზაო მონიშვნების, ზებრა გადასასვლელებისა და შუქნიშნების მოწესრიგება. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილე ტროტუარებზე ბოლარდებისა და ფიზიკური ბარიერების დამონტაჟებაზე, რათა ქალაქში ფეხით და ეტლით გადაადგილება უსაფრთხო გახდეს.

4. სადისტრიბუციო ავტომობილების პარკირების საკითხი

ადგილობრივი ბიზნესისა და მძღოლების ინტერესებიდან გამომდინარე, დავაყენე სადისტრიბუციო ავტომობილებისთვის კანონიერად გაჩერების ადგილების გამოყოფის საკითხი. მოვითხოვე სპეციალური დატვირთვა-გადმოტვირთვის სივრცეების მოწყობა ან შესაბამისი რეგულაციების შეცვლა, რათა შესაძლებელი გახდეს ავტომობილების მოკლე დროით გაჩერება და შემცირდეს გაუმართლებელი ფინანსური ტვირთი.

5. საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პრობლემები

მოქალაქეებთან შეხვედრებისა და ადგილზე არსებული მდგომარეობის გაცნობის შემდეგ საჯაროდ დავაყენე ქუთაისის №4 და №7 საჯარო სკოლების გაჭიანურებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საკითხი. მოვითხოვე შესაბამისი უწყებებისგან კონკრეტული ვადების დასახელება, სამუშაოების დაჩქარება და მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, სრულფასოვანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.

6. ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე საბავშვო ბაღის გახსნა

მოვინახულე ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღი, რომელიც აშენების მიუხედავად, წლებია არ ფუნქციონირებს. ადგილზე შევხვდი მოსახლეობას და ქალაქის ხელმძღვანელობას მოვუწოდე, გამოეკვლიათ ბაღის გაუხსნელობის მიზეზები, გამოესწორებინათ სამშენებლო ხარვეზები და უზრუნველეყოთ მისი დროული ამოქმედება.

7. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის განვითარება

დავაყენე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისთვის თანამედროვე, უსაფრთხო და ადვილად მისადგომი შენობის გამოყოფის საკითხი. არსებული შენობის მოუხერხებელი მდებარეობისა და სატრანსპორტო პრობლემების გათვალისწინებით, წამოვაყენე ყოფილი პროკურატურის

შენობის ადაპტირების ან სრულიად ახალი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი სივრცის მშენებლობის ინიციატივა.

8. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

ტაბიძის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ სტადიონის მონახულების შემდეგ ყურადღება გავამახვილე მის მოუვლელ მდგომარეობაზე. ქუთაისის მერიასა და სპორტის სამინისტროს მოვუწოდე, მოეწესრიგებინათ არსებული ინფრასტრუქტურა და უზრუნველეყოთ მისი ხელმისაწვდომობა მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

9. ნიკეას ნაგავსაყრელის პრობლემა

ნიკეას დასახლების მოსახლეობის მრავალწლიანი პრეტენზიების საფუძველზე საჯაროდ დავაყენე ნაგავსაყრელიდან გავრცელებული უსიამოვნო სუნისა და ჰაერის დაბინძურების საკითხი. შესაბამის უწყებებს მოვუწოდე, მიეღოთ ეფექტიანი ზომები პრობლემის აღმოსაფხვრელად, მათ შორის განეხილათ ნაგავსაყრელის დახურვის ან გადატანის შესაძლებლობა.

10. სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია

ბიუჯეტის განხილვისას მოვითხოვე სანიაღვრე და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურისთვის მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილე იმ ქუჩებსა და უბნებზე, სადაც უხვი ნალექის დროს დატბორვა და გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა მოსახლეობას მუდმივ პრობლემებს უქმნის.

11. მწვანე სივრცეების დაცვა და განვითარება

წამოვაყენე ქალაქის პარკებისა და რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, ახალი გამწვანებული ტერიტორიების შექმნისა და საღორიის ტყის დაცვისა და რეკრეაციული განვითარების საკითხები. დადებითად შევაფასე ცენტრალური ბულვარის რეაბილიტაცია და მოვითხოვე მსგავსი ყურადღება ქალაქის სხვა პარკებისთვისაც.

12. სოციალურად მოწყვლადი მოქალაქეების მხარდაჭერა

მუნიციპალური ბიუჯეტის განხილვისას მოვითხოვე სოციალური დახმარებების ეტაპობრივი გაზრდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისთვის, შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მიმაჩნია, რომ ცხოვრების ღირებულების ზრდა შესაბამისი სოციალური პროგრამების გაუმჯობესებაშიც უნდა აისახოს.

13. საქველმოქმედო და სოციალური საქმიანობა

საკრებულოში საქმიანობის პარალელურად, პერიოდულად ვმონაწილეობ საქველმოქმედო და სოციალურ ღონისძიებებში. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ტრადიციულად, ვმასპინძლობთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს, ხოლო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, მათი მშობლებისა და პედაგოგებისთვის მოწყობილ ღონისძიებაში.

შეჯამება

ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებები იყო მოქალაქეთა პრობლემების გამოვლენა, მათი ინტერესების დაცვა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო დაწესებულებების პრობლემების წარმოჩენა და ქალაქის განვითარების პრიორიტეტებზე საჯარო დისკუსიის წახალისება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გარკვეულ საკითხებზე უკვე არსებობს კონკრეტული წინსვლა. მათ შორისაა შშმ ქალებისთვის ადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძლის შესყიდვის პროცესის დაწყება, მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფა და სატრანსპორტო სისტემაში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელება.

ამავდროულად, არაერთი წამოყენებული საკითხი კვლავ გადაუჭრელია და შემდგომ მუშაობას საჭიროებს. ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პრობლემის საჯაროდ დაფიქსირება, არამედ შესაბამისი უწყებებისგან რეალური რეაგირებისა და შედეგის მიღწევა.

მჯერა, რომ საკრებულოს წევრის მთავარი პასუხისმგებლობა მოქალაქეების ინტერესების ყოველდღიური დაცვაა. სწორედ ამიტომ, მომავალშიც გავაგრძელებ ქუთაისელებთან აქტიურ კომუნიკაციას, არსებული პრობლემების საჯაროდ დაყენებასა და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობას.

ელეონორა არჩაია
“გახარია საქართველოსთვის”
04.11.2026

